ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41. 4125136001**

თარიღი:**16/05/2025**

,,სენაკის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-საკრებულოს აპარატის უფროსის (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) ლევანი თულაძესა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 8 იანვარს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 52-ე, 63-ე მუხლისა და ,,ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის №51 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარტის უფროსის (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) ლევანი თულაძესა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 8 იანვარს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ა) 2025 წლის 28 იანვრის №1 ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილებები და შეთანხმება №9 თან დაერთოს ბრძანებას:

2. გამოცემული ბრძანების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) - ლევანი თულაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE

Შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 9
(2025 წლის 28 იანვრის №1 ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ)

ქ. სენაკი 5 მაისი 2025 წელი

ერთის მხრივ **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო** (შემდგომში – დაწესებულება), წარმოდგენილი **საკრებულოს თავმჯდომარის საბა ოდიშარიას** სახით და მეორეს მხრივ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული ფიზიკური პირი, **ლევან თულაძე (პ/ნ:39001004519)**, (შემდგომში - ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №205 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N51 დადგენილების გათვალისწინებით, მხარეთა შორის 2025 წლის 28 იანვარს გაფორმებული, **№1** ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-2 მუხლში და დაემატოს 2.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:**
   „2.2.პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილება შესაძლებელია, დაეკისროს სხვა ადმინისტრაციული ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ან მოხელეს/საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პირს, კომპეტენციის გათვალისწინებით, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.“.
2. **ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-4 მუხლში და 4.3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.3[1] პუნქტი:**
   „4.3[1]. საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან ან/და საჯარო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შესაძლებელია დროებით დაეკისროს ის ფუნქციები, რომელთა შესრულება არ განეკუთვნება მის მოვალეობებს.
   4.3[1].1. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ხელშეკრულებით დასაქმებულს დროებით დააკისროს:
   ა) დამატებითი ფუნქციების შესრულება;
   ბ) სხვა ფუნქციების შესრულება და გაათავისუფლოს იგი მისი ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან.
   4.3[1].2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის ამ მუხლის 4.3[1].1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია ასევე საჯარო სამსახურის სისტემაში და საზღვარგარეთ, საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე.
   4.3[1].3. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის დაკისრებული:
   ა) დამატებითი ფუნქციების შესრულების საერთო ვადა დგინდება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
   ბ) სხვა ფუნქციების შესრულების ვადა საჯარო სამსახურის სისტემაში არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
   4.3[1].4. დაუშვებელია ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის ისეთი დროებითი ფუნქციის დაკისრება, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას.

4.3[1].5. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის 1 თვეზე მეტი ვადით დროებითი ფუნქციების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.

4.3[1].6. ერთ თვეზე ნაკლები ვადით დროებითი ფუნქციების შესრულებაზე ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ დაუსაბუთებელი უარის თქმა შეიძლება გახდეს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

4.3[1].7. ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის ამ მუხლის 4.3[1] პუნქტით გათვალისწინებული დროებითი ფუნქციების დაკისრებისათვის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით.".

3. **ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-5 მუხლში:**

ა) 5.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. ხელშეკრულების 5.1.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის შრომის ანაზღაურების შენარჩუნების საკითხს წყვეტს **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო.** სხვა საფუძვლით სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება, გარდა საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.";

ბ) ამოღებულ იქნას 5.2.1. და 5.2.2. პუნქტები;

გ) 5.2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.2[1] პუნქტი:

„5.2[1]. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება, თანამდებობრივ სარგოსთან/წოდებრივ სარგოსთან ერთად უნარჩუნდება დანამატი, კვების კომპენსაცია და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გასაცემლები.".

4. **ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-6 მუხლში და 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **2024 წლის 30 დეკემბრიდან** - და მისი მოქმედება არ აღემატება შესაბამისი პოლიტიკური თანამდებობის პირის, **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საბა ოდიშარიას** უფლებამოსილების ვადისა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის** თანამდებობაზე დანიშნული პირის უფლებამოსილების დაწყებამდე პერიოდის ჯამს.".

5. **ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-8 მუხლში:**

ა) 8.1.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.1.3. პოლიტიკური თანამდებობის პირის, **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საბა ოდიშარიას** უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის** თანამდებობაზე განწესებული პირის უფლებამოსილების დაწყებისთანავე.";

ბ) 8.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მისი ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შეწყვეტის თაობაზე 1 თვით ადრე ან უფრო გვიან, მაგრამ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე, უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. თუ ამ პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ხელშეკრულება **სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,** მეორე მხარისთვის 1 თვით ადრე შეტყობინების ფარგლებში წყდება, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ინიციატივით მეორე მხარისთვის 1 თვეზე უფრო გვიანდელი შეტყობინების ფარგლებში წყდება, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეძლევა კომპენსაცია 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.".

6. შეთანხმება ძალაშია 2025 წლის 7 თებერვლიდან.
7. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელიც შეთანხმებით არ იცვლება, უცვლელი რჩება.
8. შეთანხმება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.
9. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2025 წლის 28 იანვარს დადებული №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10. შეთანხმების ეგზემპლარები ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

დამსაქმებელი:	დასაქმებული:
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №243 ტელ: 0 413 27 57 97 **E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com** საიდენტიფიკაციო კოდი 239889705	ლევანი თულაძე (სახელი, გვარი) ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №56 პირადი №39001004519 (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი; პ/ნ) ტელ: 577 62 01 86
საკრებულოს თავმჯდომარე: საბა ოდიშარია (ხელმოწერა) ---------- ხელმოწერის თარიღი: 5 მაისი 2025 წ.	---------- (ხელმოწერა) ხელმოწერის თარიღი: 5 მაისი 2025წ.